

ვის მოუწავს საკუთარი აზრის აკაფიოდ დაფიქსირება?

საკონსტიტუციო ცვლილებები - მწვანე



იხილეთ მე-2 გვერდზე

ნოდარ ხადური:

„2013 წელს ეკონომიკური ზრდა 6% იქნება“



იხილეთ მე-5 გვერდზე

პრეზიდენტის უთქმელი სიტყვა



თეატრალიზებული აქცია პარლამენტთან

იხილეთ მე-2 გვერდზე

საგაფრთხო ბაზის უფასო მომსახურება — დაპირისპირების მიზეზი

იხილეთ მე-2 გვერდზე

სოცხით მოვაჭრეები პარლამენტში

იხილეთ მე-5 გვერდზე

უკაცუდნეტო სინსლე აბიტურიენტებისთვის — გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი!

უნიკალური სასწავლო პროგრამები საჯარო მოხელეებისა და იურისტებისათვის

იხილეთ მე-3 გვერდზე

კარტოფილის კიბოთი დაავადებული კარტოფილის ამოცნობა შეუიარაღებელი თვალითაც შესაძლებელია

იხილეთ მე-7 გვერდზე

პროვოკაცია თუ გამოხატვის თავისუფლება?

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში 8 თებერვალს მოხსენებით უნდა გამოსულიყო, თუმცა საპარლამენტო უმრავლესობამ მის მოსმენაზე უარი განაცხადა. ამის საპასუხოდ მიხეილ სააკაშვილმა ეროვნულ ბიბლიოთეკაში მისვლა და პარლამენტისათვის წასაკითხი ტექსტის წაკითხვა ბიბლიოთეკის დარბაზიდან გადაწყვიტა. თუმცა...

ეროვნულ ბიბლიოთეკასთან საქართველოს პრეზიდენტის მისი 9 წლიანი მმართველობით უკმაყოფილო მოქა-

ლაქების დემონსტრაცია ელოდა. საპროტესტო აქციის გამო „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში შესვლა ვერ მოახერხეს. დემონსტრაციის მონაწილეებმა მიხეილ სააკაშვილის მომხრეებს ფიზიკური შეურაცხყოფაც მიიყენეს.

„ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ, პრეზიდენტის უსაფრთხოება უზრუნველგვეყო, ასევე — სტუმრებისაც. ჩვენ გვქონდა ორი გზა: ორი კორიდორი დამზადებულიყო გზისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენმა პოლიტიკურმა ოპო-

ნენტებმა ამით არ ისარგებლეს, ისინი პირდაპირ შევიდნენ კონფლიქტში დემონსტრანტებთან. შესაბამისად, ამან გამოიწვია გარკვეული შეხლა-შემოხლა და ძალიან უსიამოვნო ფაქტი,“ — განაცხადა ბიბლიოთეკასთან მისულმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, რომელმაც დასძინა, რომ ყველა ის პირი, ყველა ის მოძალადე, რომელმაც დაარღვია კანონი, აგებს პასუხს, ეს იქნება პოლიტიკური ოპონენტი თუ დემონსტრანტი.

„გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მათ შეგნებულად მოაწყვეს პროვო-

კაცია. „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები, ალტერნატიული კორიდორების ნაცვლად, შეგნებულად გაემართნენ ხალხის მასისკენ. როდესაც არ სარგებლობ ამ კორიდორებით და მიდიხარ ხალხისკენ, იმაზე პასუხისმგებლობას ველარ ავიღებთ და ამ შემთხვევაში რაც მოხდება, მხოლოდ თქვენი და არა ჩვენი პასუხისმგებლობაა,“ — მიმართა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შინაგან საქმეთა მინისტრმა.

გაგრძელება მე-3 გვერდზე



როსა ხელისუფლება დუმს

იხილეთ მე-4 გვერდზე



„აია“-ს პრეზიდენტი — კუსტარული სანარკობის წინააღმდეგ

იხილეთ მე-5 გვერდზე

ქიმერიონი
ქიმერიონი-გე

წიგნების მაღაზია

მისამართი: ქუთაისი, „აპოკალიფსი“
ტელ: 790 927 927.



წიგნები უნდა გეყავოდეს!

ქუთაისი, საავტოო ცენტრი „აპოკალიფსი“
წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ: (790) 927 927.

PS news.ge



ქვეყნის პოლიტიკა

ყვერძი: გეგნებათ პირობები მატერიალური ბაზის შექმნის და გამყარებისათვის, თუმცა ამ მიმართულებით მოგვიწევს ფუნდამენტის ჩაყრა, ფულის ხარჯვასთან დაკავშირებით გამოიჩინეთ გარკვეული თავშეკავებულობა.

კურთ: არც ზედმეტი სიხარბე და არც მფლანგველობა სიკეთეს არ მოგიტანს. წინააღმდეგ შემთხვევაში მნიშვნელოვან მოგებას თან არსებითი დანაკარგებით მოჰყვება.

ტყულები: რეკომენდებულია გრანდიოზული ფინანსური ინიციატივებისგან თავშეკავება. შესაძლოა განდეთ ტყუილის მსხვერპლი. შეგიძლიათ დაისვენოთ ან განმარტოვდეთ.

კირჩხიბი: გაგიჭირდებთ დროულად შეჩერება და გაწეული საქმის შეწყვეტა, ახალი მაცდუნებელი შემოთავაზების გათვალისწინებით.

ღომი: უფროსობა მრისხანებას შეცვლის მოწყობებად, რითაც შეეცდება დაგარწმუნოთ რაღაც არარეალურ, აუხდენელში. არასამუშაო განწყობა გექნება.

ქალწული: შესაფერისი დროა კოლეგებთან ერთად წარმატების აღნიშვნისთვის ან მათთან შერიგებისთვის. მოგიწევთ დაფიქრება გეგმებზე, მათი განხილვა სხვა ადამიანებთან.

სასწორი: თანამშრომლების დისციპლინა მეტად მოისუსტებს და თავდაცვით მოაღწეობს ყურადღებას. შედეგად მოსალოდნელია არაპატიოსანი საქციელი ფულად და საქმიან სფეროში.

მორიელი: შესაფერისი მომენტია საქმიანი ურთიერთობის შერბილებისთვის პარტნიორებთან. კონკურენტებთან მოქმედების საერთო ენას ჰქონდეთ ყავაზე ან კათხა ლუღზე. ახალ ინფორმაციას მიიღებთ.

მშვილდოსანი: თქვენი ურთიერთობა მოწინააღმდეგესთან და კონკურენტებთან გამარტივდება. შესაძლოა, მოკავშირის, საინტერესო თანამოსაუბრის, გონიერი მრჩეველის გარეშე დარჩეთ.

თხის რქა: თქვენი მატერიალური წარმატების ალგორითმი მეტად მარტივია, რაც უფრო მეტს შრომობთ, მით უფრო მეტს გამოიმუშავებთ. ახლობლებთან ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფინანსური მხარე.

მერწყული: დაძაბული მუშაობისთვის ძალები არ გეყოფათ. დროული იქნება შემოქმედებითი ხასიათის საქმიანობა.

თევზები: ბევრი რამის გაკეთებას შეძლებთ. საჭესთან სიფრთხილე გმართებთ. ხელმძღვანელობასთან პრობლემების გარკვევას მოერიდეთ.

Table with 12 columns and 12 rows containing numbers and letters for a crossword puzzle.

Table with 12 columns and 12 rows containing numbers for a crossword puzzle.

კარტოფილის კიბოთი დაავადებული კარტოფილის ამოცნობა შეუიარაღებელი თვალითაც შესაძლებელია

სოფლის მეურნეობის მინისტრის, დავით კირვალიძის ინფორმაციით, თურქეთიდან კარტოფილის კიბოთი დაავადებული კარტოფილით სავსე კონტეინერი შემოვიდა. როგორც კირვალიძემ განმარტა, აღნიშნული დაავადება საკარანტინოა.



მინისტრის თქმით, ტვირთი დაყადაღებულია და სრულად განადგურებას დაექვემდებარება, ხოლო ფაქტის შესახებ იმპორტიორ ქვეყანას ეცნობება.

კიბოთიანი კარტოფილი სამომხმარებლო ბაზარზე ვერ მოხვდება, — აცხადებენ სურსათის ეროვნულ სააგენტოში. მათივე ცნობით, თურქეთიდან შემოტანილი დაავადებული 25 ტონა კარტოფილის განადგურებისთვის საჭირო დოკუმენტაცია მზადდება და უვარგისი კარტოფილი მალე განადგურდება. როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები ამბობენ, კარტოფილის კიბოთი დაავადებული კარტოფილის ამოცნობა შეუიარაღებელი თვალითაც არის შესაძლებელი. კერძოდ, კანზე შავი წინწკლები და ლაქები აქვს, ანათალის ქვეშაც შავი წინწკლებია შესამჩნევია.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოში ანალოგიური დაავადების მქონე კარტოფილი არ არის და

იმპორტული პროდუქციაც საზღვარზე ლაბორატორიულად მოწმდება, რათა საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე უვარგისი სურსათი არ მოხვდეს.

დარგის სპეციალისტების ინფორმაციით, კარტოფილის კიბოთი დაავადებული კარტოფილის მიღება ადამიანის სიცოცხლეს რისკის ქვეშ არ დააყენებს, თუმცა ტოქსიკურია და მისი გამოყენება არ შეიძლება. მთავარ პრობლემას კი, ნიადაგი წარმოადგენს, ვინაიდან ასეთი კარტოფილი საკარანტინო მანქანებითაა დაავადებული, რაც საფრთხეს უქმნის მიწას და ამ მიწაზე მოყვანილ პროდუქციას.

მისი გამომწვევია სოკო Synchytrium endobioticum.

პირველად კარტოფილის კიბო დააფიქსირეს უნგრეთში 1896 წელს, თუმცა პარაზიტის სამშობლო ჯერ კიდევ უცნობია.

დაავადება სწრაფად გავრცელდა მთელ დასავლეთ ევროპაში, ხოლო 1918 წელს — აშშ-ში. ამჟამად იგი გვხვდება ევროპაში, იაპონიაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, სამხრეთ აფრიკაში. 1939-1940 წლებში დაავადების ცალკეული კერები გამოჩნდა დასავლეთ უკრაინისა და ბელორუსიის ტერიტორიაზე. შემდგომ დაავადება გავრცელდა აღმოსავლეთით.

მომზადებულია „ინტერპრესნიუსის“ მიხედვით

კარტოფილის კიბო კარტოფილის ყველაზე სერიოზულ და საშიშველ ავადმყოფობად მიიჩნევა.

A large crossword puzzle grid with various clues in Georgian. The clues include: 'თანავარსკვლავედი' (Synonym), 'მითითური ცხენკაცა' (Synonym), 'ქვეწარმავალი' (Synonym), 'ილალი' (Synonym), 'ინოვაციის დელაქლაქი' (Synonym), 'ესპანელი აზნაური' (Synonym), 'იქა თეირანი' (Synonym), 'ქართული ფილი' (Synonym), 'ლაქში...' (Synonym), 'იტალიელი მუსიკოსი' (Synonym), 'დღი ძალის მქონე, ანუ...' (Synonym), 'ნავის სახეობა' (Synonym), 'აშშ-ს კონსტიტუციური' (Synonym), 'პინოჩეო' (Synonym), 'აფრა' (Synonym), 'ტროა' (Synonym), 'ანტიგუა და...' (Synonym), 'აბატ ფარის ციხე' (Synonym), 'ასოების ერთობლობა' (Synonym), 'ჩვენი ვარსკვლავი' (Synonym), 'იზაბელ...' (Synonym), 'ნიკარაგუაში' (Synonym), 'მდინარე აფრიკაში' (Synonym), 'კრივის მოედანი' (Synonym), 'ვაიშვილი' (Synonym), 'ებრაელი' (Synonym), 'ქალაქი იტალიაში' (Synonym), 'ცხენის პირში ამოსადები' (Synonym), 'აბესალომ და...' (Synonym), 'კახევის მეთაური' (Synonym).

შაბდინა ალაჟო ნაშაძე

შორთხვი

შორთხვი ვარდისებრთა ოჯახის წარმომადგენელია, მაღალტანიანი ბუჩქია, ზოგჯერ დაბალტანიანი ხე იზრდება. ყვავის მის-იენის-ში, ნაყოფი მწიფდება ივლისიდან სექტემბრამდე. საქართველოში მთის ზედა და შუა სარტყელის ტყეებსა და ტყისპირებში იზრდება აფხაზეთში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში და სხვ.

შორთხვის ნაყოფი შეიცავს 5%-მდე შაქარს, ბევრ მთრიმლავ ნივთიერებას, ვაშლისა და ლიმონის მჟავებს, ფლაონოიდებს და ეთერზეთებს. ჰამენ როგორც უმად, ასევე აზადებენ გამაგრილებელ სასმელს, მისი წვენი აფერადებენ ღვინოს. ხმელი ნაყოფის ფხვნილი საუცხოო არომატსა და გემოს აძლევს ღვინოს, შესანიშნავია მისგან მომზადებული კისელიც.

მთრიმლავი ნივთიერებებით სიმდიდრის გამო ნაყოფს შემკვრელ საშუალებად იყენებენ კულტურის დროს.

ფოთლები 280 მგ ვიტამინ C-ს შეიცავს, გარდა ამისა მოეპოვება ეთერზეთი.

შორთხვი შესანიშნავი თავლოვანი მცენარეა. ფრიალ დეკორატიულია ყვავილობის პერიოდში.


თამუნა ასპურაძე

Advertisement for 'პოსტსოციალიზმი' featuring a portrait of a man and the text: 'პოსტსოციალიზმი უფრო მეტი წარმომადგენელი გიორგი ვაშაძე ლუიზა ლაგერბაიამ ამოიცნო.'

Advertisement for 'პოსტსოციალიზმი' featuring a portrait of a man and the text: 'დაგვიკავშირდით: (8431) 24-45-46, 24-82-25. psnews27@gmail.com'

ქროსოვრი

თარაზულად: 3. თამარ მეფის მეორე ქმარი დავით... 5. მწვერვალი ევროპაში მონ... (4807 მ). 6. კურორტი კრასნოდარის მხარეში. 8. იკმარა, იმყოფა, ანუ... 9. წყლის მოლუსკის სახეობა. 11. მე-20 ასო ბერძნულ ანბანში. შევუღალ: 1. სათამაშოდ დადებული თანხა. 2. ბრაზილიაში: ქალაქი ... პაულუ. 3. სპილოს ნაშეიერი. 4. პოეტი ... ევლოზვილი. 7. ჯანლი, ბურუსი. 10. ათვერ ათი.



წინა ნომრის კროსვორდის პასუხები: თარაზულად: 3. მტკვარი. 5. ბროლი. 6. მზა. 8. ბენ. 9. სირია. 11. იურმალი. შევუღალ: 1. სკალა. 2. ვან. 3. მარსელი. 4. იამაყა. 7. სინია. 10. დრო.

Advertisement for 'სადიკა' featuring a portrait of a man and the text: 'ჩასვით რიცხვები ერთიდან ცხრამდე კვადრატის 9X9 უჯრედებში ისე, რომ თითოეული რიგში, სვეტში და ცალკე გამოყოფილ კვადრატში 3X3 ყველა რიცხვი იყოს სხვადასხვა და არც ერთი არ გაეორდეს!'



ოჯახურ ბედნიერებას ვულოცავთ „ახალი გაზეთისა“ და „newpress.ge“-ს მთავარ რედაქტორს ია ბობოხიძეს და მის რჩეულ ვახტანგ ინასარიძეს. ახალშეუღლებულებს ვუსურვებთ მარადიულ სიყვარულს, გამრავლებას, ყველა ლამაზი მოლოდინის ასრულებას!

გაზეთ „P.S.“-ის რედაქცია

თანამედროვე არქიტექტურა



სახლი Fobe მარაკეში

მარაკოს ქალაქ მარაკეში მდებარეობს 4 შენობისგან შემდგარი ვილა-ფობეს სახლი. პროექტი შეიმუშავა გილემ იუსტაშმა ბელგიელი პროდიუსერის დაკვეთით. სახლი შედგება 4 დიდი თეთრი კვადრატული სტრუქტურისგან, რომლებშიც შედის მთავარი საცხოვრებელი სახლი, სახლი აუზით, სტუმრის საცხოვრებელი, ფარეხი. ჯამში ეს საკუთრება 2.5 ჰექტარს მოიცავს.



ხიდი ჰოლანდიაში

ეს ორმაგი ხიდი აერთიანებს ისტორიულ კვარტალს ქალაქის თანამედროვე ნაწილთან. Meikeweg Bridge — ეს არის პროექტი, რომელიც სპეციალურად ჰოლანდიისთვის შეიმუშავა კომპანია Next Architects-მა.

კიმერიონი

qimerioni.ge



ნიგნაზი უნ გელოვას!



მისამართი: ქუთაისი, „პოპულდ“; ტელ.: (790) 927 927.



შენობა — კალათა

შენობა, რომელსაც საპიკნიკე კალათის ფორმა აქვს, ამერიკაშია. ალბათ, მულტფილმ „ტომი და ჯერიდან“ ასეთი კალათა ყველას კარგად ახსოვს. იგი წარმოადგენს შვიდსართულიან ოფისს, რომელიც ხელნაკეთ Longaberger Company-ს კალათებს აწარმოებს ნიუ-იორკსა და ოჰაიოში. მისი მშენებლობა 1995 წელს დაიწყო და დღეს ამგვარი სახე აქვს.



ცენტრალური ბიბლიოთეკა ჰელსინკში

პროექტი ეკუთვნის INKOFF Architects Engineers Inc-ს. იგი არამხოლოდ ბიბლიოთეკას, არამედ მთელ BIBLIO-Centrum მოიცავს.



იცით თუ არა, რომ?

- ჩინგიზ ხანი მოკვდა სექსის დროს;
- ალბერტ აინშტაინმა ვერაფრით შეძლო დამახსოვრებინა საკუთარი ტელეფონის ნომერი;
- პიტერის დედა სერიოზულად ფიქრობდა აბორტზე, თუმცა ექიმმა გადააფიქრებინა;
- ლომმა, რომელიც გამოსახულია „Metro-Goldwyn-Mayer“-ის ლოგოზე, თავისი მწვრთნელი მოკლა გადაღებების მეორე დღეს;
- მთვარეზე არის სამი ბურთი გოლფისათვის;
- ჭუჭყიანი თოვლი უფრო სწრაფად მოდის, ვიდრე სუფთა;
- ოფისის მაგიდაზე 400-ჯერ მეტი ბაქტერიაა, ვიდრე საჭირო ოთახში;
- 1111111 X 1111111 = 1234567654321
- ლეონარდო დავინჩი მონა ლიზას ტუჩებს 12 წელი ხატავდა;
- გახელილი თვალებით დაცემინება შეუძლებელია;
- 4 წლის ბავშვი, დაახლოებით, 400-მდე კითხვას სვამს დღეში;
- „OK“ — ყველაზე პოპულარული

სიტყვაა მსოფლიოში;

- თუ ასთავა დაკარგავს თვალს, მას ეზრდება მეორე;
- ალაბამაში აკრძალულია ულვაშის ტარება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სიცილი ეკლესიაში;
- გინესი ყიდის 7 მილიონ კათხა ლუდს დღეში;
- ყველაზე ხშირად მილიონრების ცოლები მასწავლებლები არიან;
- პირველ კლასში მიმსვლელი ბავშვი, უკვე ანსხვავებს 200-მდე სხვადასხვა კომპანიის ლოგოტიპს;
- ატრაქციონების პარკში სიკვდილის შემთხვევის შემდეგ იზრდება დამთვალიერებელთა რიცხვი;

- 1932 წლის ზამთარში ჩანჩქერი ნიაგარა მთლიანად გაიყინა;
- მიწის თხილი დინამიტის ერთ-ერთი შემადგენელია;
- ლოქორას 4 ცხვირი აქვს;
- ადამიანები სიცოცხლის ორ კვირას ხარჯავენ შუქნიშანზე მწვანე ფერის მოლოდინში;
- ელექტრო სკამი სტომატოლოგმა გამოიგონა;
- ვაშინგტონი და ჯეფერსონი კანფის საკუთარ პლანტაციებში ზრდიდნენ;
- უინსტონ ჩერჩილი დაიბადა კლუბში, ქალების საპირფარეოში.

უცნაური ობიექტი ბალტიის ფსკერზე

პროფესიონალი მყვინთავი პიტერ ლინდბერგი და მისი ეკიპაჟის მონაწილენი ცდილობდნენ, გაერკვიათ, თუ რა ობიექტები დააფიქსირა რადარმა ბალტიის ზღვაში.

მათი აღწერილობით, ისინი დიდი ღრუბლის ფორმის ობიექტები უნდა იყოს; სამწუხაროდ, რადარით აღმოჩენილი ობიექტების გამოსახულების ხარისხი ძალიან ცუდია და მათი იდენტიფიკაცია შეუძლებელია; მკვლევართა ჯგუფმა Ocean Explorer (შვედეთი) ბალტიის ფსკერის სკანირება ჩაატარა საუკუნეების წინ ჩაძირული გემების მოსაძებნად. ჯგუფის სამიზნე იყო და არის ძვირფასი ნივთები, მაგრამ შაშხანურის და კონიაკის ბოთლებიც მისაღები აღმოჩნდა. ადრე ასეთმა

„თხევადმა განძმა“ მის მფლობელს აუქციონზე გაყიდვით კარგი შემოსავალი მოუტანა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, მყვინთავების ვარაუდი ასეთია: ეს შეიძლება იყოს არამიწიერი ცივილიზაციების კოსმოსური თანამგზავრები. დადგენილია, რომ მყვინთავები განძის მაძიებლები არიან და მათ კვლევის გასაგრძელებელი თანხები არ გააჩნიათ; პიტერ ლინდბერგი იმედოვნებს, რომ იქნებ გამოჩნდეს ვინმე, ვინც ამ ობიექტების კვლევით დაინტერესდება. ექსპედიციის ხელმძღვანელმა პიტერ ლინდბერგმა განაცხადა, რომ არასოდეს უნახავს ასეთი რამ, თუმცა ოცწლიანი მუშაობის განმავლობაში ძალიან



დიდი დრო გაატარა საზღვაო პიროლოკატორით ზღვის ფსკერის თვალიერებაში.

ლინდბერგმა გულწრფელად განაცხადა: „დანარჩენმა მსოფლიომ უნდა გადაწყვიტოს!“

ზოგიერთის აზრით, ეს შეიძლება იყოს მოწმობა დედამიწაზე უცხოპლანეტელების ვიზიტისა.

დასავლეთის გაზეთებმა ლაპარაკი ამოუცნობი მფრინავ ობიექტზე (ამო) დაიწყეს. თითქოს უცხო პლანეტის „თევზმა“ კატასტროფა განიცადა. შედეგის თქმით, უცნაური სტრუქტურის და ფორმის გარშემო ამოთხრილი ფსკერი შეიმჩნევა, რაც აფრინის მცდელობის ტოლფასია; მაგრამ, ბუნებაში ბევრია მრავალი ფორმის კრატერები, კარსტული ღრმულები, თუ გორაკები... უმჯობესია, დავულოლოთ წყალქვეშა აპარატის ჩამოვებას.